

CAUCA DOG

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით



EUROEAST
CULTURE



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION



CAUCA DOG

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით

მასწავლებლის წიგნი



თბილისი 2014

სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით

ორგანიზაცია “ადამიანი გაჭირვებაში“

გ. ქიქოძის ქ. N16, თბილისი, საქართველო
სოლომონ პირველის ქ. N27, ქუთაისი, საქართველო

www.pin.ge

www.caucadoc.com

რედაქტორი:

შორენა კუჭუხიძე - „ადამიანი გაჭირვებაში“, საქართველო

დამხმარე მასალებზე მუშაობდნენ ექსპერტები:

ჩემი ძმა დრონა: **თათია პაჭკორია**

მეზობლები: **შორენა ლორთქიფანიძე**

მასწავლებლები:

ჩემი ძმა დრონა: **გურანდა შანიძე, ეკა სიმსივე, ლიკა გომართელი, თალიკო თვაური**

მეზობლები: **ელისო კახიანი, ნანა ნიკოლაიშვილი, ხათუნა ხმალაძე, ეკა სიმსივე**

გამოცემა და დიზაინი – „სი-ჯი-ეს“

გამოცემულია 2014 წელს

© „ადამიანი გაჭირვებაში“

ყველა უფლება დაცულია

პუბლიკაცია დაფინანსებულია ევროკავშირის და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს მიერ



სწავლება დოკუმენტური ფილმების მეშვეობით

სარჩევი

დოკუმენტური ფილმები	7
ჩემი ძმა დრონა	7
საბაზისო ინფორმაცია	7
სავარჯიშო 1 - პირამიდა	13
სავარჯიშო 2 - რა არის აუტიზმი	15
სავარჯიშო 3 - თოკი	18
სავარჯიშო 4 - ჩემი მეგობარი დრონა	20
მეზობლები	21
საბაზისო ინფორმაცია	21
სავარჯიშო 1 - რეფლექსია	26
სავარჯიშო 2 - ეძებე სიტყვა	29
სავარჯიშო 3 - მოაზროვნის სამი სკამი	31
სავარჯიშო 4 - კონფლიქტის მოგვარების ეტაპები	33

დოკუმენტური ფილმები



ჩემი ძმა დრონა

კატერინე ვამ კამპენ / ჰოლანდია / 2010 / 19წთ.

დრონა მუდამ ჩაფიქრებულია. ის სხვა ბავშვებისაგან განსხვავდება, მისი ლექსიკა ღარიბია, ერთიდაიგივე ფრაზებს ხშირად იმეორებს, უმიზნოდ იმასხოვრებს რიცხვებს... მას თანატოლებთან თამაშს სახლში ძმასთან ყოფნა ურჩევნია. დრონას აუტიზმი აქვს, ის თავის სამყაროში ცხოვრობს. მას უჭირს სხვისი აზრის გაზიარება, მაგრამ თვლის, რომ პირიქით, სხვა ადამიანები არ უსმენენ, არ ესმით მისი.

საბავშვო ინფორმაცია

ძირითადი თემა: აუტისტური სპექტრის დარღვევები

დამატებითი თემები: ინკლუზიური განათლება

1. რა არის აუტიზმი?

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების, სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და გონებრივი განვითარების პროცესებზე. აუტიზმის მქონე ბავშვს დარღვევები აქვს სოციალური უნარების, კომუნიკაციის, მეტყველების, ქცევის განვითარებაში.

აუტიზმისთვის დამახასიათებელი ნიშნებია:

- სოციალური ურთიერთობის დამყარების სირთულე/უნარობა;

- კომუნიკაციის მიზნით მეტყველების გამოყენების სირთულე/შეუძლებლობა;
- ძლიერი მიჯაჭვულობა ჩვეული ცხოვრების წესის მიმართ, გარკვეული საგნებისა და საკვების მიმართაც კი.

აუტიზმის ყველაზე გავრცელებული მახასიათებელია ადამიანებთან ურთიერთობის სიძნელე და კონტაქტისაგან თავის არიდება. აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვები ვერ იტანენ ცვლილებებს და გაურბიან ურთერთობებს, გაუცხოებულები არიან საზოგადოებისაგან და ზოგჯერ საკუთარი თავისაგანაც.

2. რამდენად ხშირია აუტიზმი და არის თუ არა განსხვავება სიხშირის მიხედვით გოგონებსა და ვაჟებში?

აუტისტური სპექტრის აშლილობების სიხშირე თანდათან მატულობს: 1966 წლის მონაცემებით სიხშირე იყო 1000-დან 2,5; 2001 წელს — 1000-დან 16,8; ხოლო 2009 წელს გამოქვეყნდა საგანგაშო ეპიდემიოლოგიური მონაცემები იმის შესახებ, რომ აშშ-ს 3-დან 17 წლამდე ასაკის პოპულაციაში აუტისტური სპექტრის აშლილობები აღმოაჩნდა 67 300 ადამიანს ანუ გადააჭარბა 1%-ს და გახდა 1,1% ანუ 60-იანი წლების მონაცემებთან შედარებით 4-ჯერ მოიმატა. აღმოჩნდა, რომ ვაჟებს 3-4-ჯერ უფრო ხშირად აქვთ აუტიზმი, ვიდრე გოგონებს. საქართველოში ჩატარებული კვლევით აუტისტური სპექტრის აშლილობები აქვს 110-დან ერთ ადამიანს. ასევე ცნობილია, რომ ყოველ 20 წუთში მსოფლიოში ერთ ადამიანს უდგინდება აუტისტური სპექტრის აშლილობების დიაგნოზი. დაავადებათა კონტროლის ცენტრის განცხადებით აშშ-ში ყოველწლიურად იბადება 4 მლნ ახალშობილი და მათგან 36 500 აქვს აუტიზმი. ამავე ფარდობას თუ საქართველოშიც გამოვიყენებთ და გავითვალისწინებთ, რომ ყოველწლიურად საქართველოში დაახლოებით 50 000 ბავშვი იბადება, ჩვენთან უნდა იბადებოდეს 450 ბავშვი აუტისტური სპექტრის აშლილობებით. ასეთი სტატისტიკის გამო 2007 წლის 18 დეკემბერს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გაცვლების მსოფლიო დღის აღნიშვნის შესახებ, რომლითაც მოუწოდა წევრ ქვეყნებს განახორციელონ ღონისძიებები აუტიზმის შესახებ საზოგადოების გათვითცნობიერებულობის ასამაღლებლად და ხელი შეუწყონ ადრეულ დიაგნოსტიკასა და ინტერვენციას. 2 აპრილს აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების დღე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში აღინიშნება.

3. რა არის გამომწვევი მიზეზი?

დადგენილი არ არის აუტიზმის გამომწვევი ერთი, ყველა შემთხვევისთვის საერთო მიზეზი. მისი სირთულიდან და კლინიკური გამოვლინებათა მრავალგვარობიდან გამომდინარე მიზეზი ბევრია. აუტიზმის წარმოშობის მიზეზად ასახელებენ გენეტიკურ ფაქტორს და გარემოს მაგნე ზემოქმედებას. მიუხედავად იმისა, რომ აუტიზმის კონკრეტული მიზეზი დაუდგენელია, ნათელია რომ ამ დაავადების გამომწვევი არ არის სოციალური, ბავშვის აღზრდის ან მოვლის არასათანადო პირობები.

4. არსებობს თუ არა წამალი?

ამჟამად აუტიზმის “წამალი” არ არსებობს. თუმცა, არსებობს ინტერვენციათა მთელი რიგი და სწავლა-განვითარების ხელშეწყობი მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ადამიანის დახმარება შეიძლება.

5. დიაგნოზი

დიაგნოზი აუტიზმის ოფიციალური დადასტურებაა, რასაც, ჩვეულებრივ, პროფესიონალი ექიმი, პედიატრი, ნევროლოგი ან ფსიქიატრი აკეთებს. დიაგნოზი აუცილებელია ორი რამის გამო:

- ის ეხმარება აუტიზმის მქონე ადამიანებს და მათ ოჯახებს გააცნობიერონ, რომ შეიძლება პრობლემები შეექმნათ და როგორ უნდა გაუმკლავდნენ მათ.
- საშუალებას აძლევს ხალხს, ხელი მიუწვდებოდეთ მომსახურებასა და დახმარებაზე.

6. აუტიზმის თანმხლები პრობლემები:

მეტყველების დარღვევა

ბავშვებს შეიძლება აღნიშნებოდეთ სხვადასხვა ხარისხის მეტყველების დარღვევები:

- ბავშვი ვერ მეტყველებს, გამოთქვამს ცალკეულ სიტყვებს;
- ბავშვი საუბრობს, მაგრამ მისი ლექსიკა ძალიან მწირია;
- ბავშვს კარგად აქვს გავითარებული მეტყველება, მაგრამ უჭირს კომუნიკაცია, ფრაზებს მექანიკურად იმეორებს და მოსაუბრეს რჩება ხელოვნურობის განცდა.

გონებრივი განვითარების დარღვევა

ბავშვებს, უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა ხარისხის გონებრივი ჩამორჩენილობა აქვთ.

ქცევის პრობლემები

ბავშვებს აქვთ შიშები და შფოთვა, რაც თავის მხრივ რეალობის არაადეკვატურად აღქმასა და ემოციურ და ქცევით დარღვევებს განაპირობებს.

ზოგიერთი ნიშანი:

- მგრძობელობა შეხების მიმართ
- იმპულსურობა
- მაღალი ან ძალიან დაბალი ფიზიკური აქტიობა
- ერთი მდგომარეობიდან მეორეზე გადასვლის შეუძლებლობა
- თვითკონტროლის დაქვეითება

აუტიზმის აღრეულ გამოვლინებას ოთხი საერთო მახასიათებელი აქვს:

1. თვალით კონტაქტის შეუძლებლობა
2. მეტყველების პრაგმატული მხარის დეფიციტი
3. საუბარში, ურთიერთობაში მონაწილეობის მიღების პრობლემა
4. ატიპიური სენსორულ-მოტორული ქცევა

არის შემთხვევები, როდესაც აუტიზმის ყველა დიაგნოსტიკური კრიტერიუმის სამივე სფერო (მეტყველება, კომუნიკაცია, სტერეოტიპული ქცევა) არ ვლინდება (ატიპიური აუტიზმი - აუტისტური სპექტრის დარღვევა). მაგალითად, ბავშვს ნორმალური მეტყველება და ინტელექტი აქვს, მაგრამ უჭირს კომუნიკაცია, ახასიათებს ქცევებისა და რიტუალების აკვიატებული დაცვა, უცნაური და ექსცენტრიული ქცევა (ასპერგერის სინდრომი - აუტისტური სპექტრის დარღვევა). აუტიზმის მქონე ბავშვებს საორგანიზაციო საკითხების გააზრებასთან და შესრულებასთან დაკავშირებული პრობლემები აქვთ. მათ არ შეუძლიათ დაგეგმონ მოქმედება, გააკონტროლონ საკუთარი იმპულსები, მაშინ როდესაც შესაძლებელია შეიმუშაონ რთული სქემები ან სტრუქტურა. ამდენად, მნიშვნელოვანია მათთვის დღიური რუტინის დაგეგმვა და საორგანიზაციო უნარ-ჩვევების სწავლება. მაგალითად, როგორ უნდა გამოვიყენოთ რვეული, საქაღალდე ან როგორ უნდა მივყვეთ უკვე დაგეგმილ დღის განრიგს. აუტიზმის მქონე მოსწავლეებს უჭირთ ყურადღების კონცენტრირება იმ საკითხებზე, რაც მათ არ აინტერესებთ. ამ შემთხვევაში, შესაძლებელია მათი ყურადღება შევაჩეროთ მათთვის საინტერესო საკითხებზე. აუტიზმის მქონე მოსწავლეებს არ შეუძლიათ სიტუაციის კონტექსტის გაგება, ისინი მოწოდებულ ინფორმაციას ნაწილ-ნაწილ ამუშავებენ. აუტიზმის მქონე მოსწავლეების აგრესიული ქცევა განპირობებულია იმით რომ მშობელს, მოსაუბრეს, მასწავლებელს, მეგობარს არ ემის მათი. მათ კი, თავის მხრივ, შეფერხებული აქვთ სხვისი ემოციის გაგების და გაზიარების უნარი. მათი ემოციების გამოხატვა მიმიკა-ჟესტებით ძალიან მწირია და ასევე უჭირთ სხვისი ემოციების გაგებაც (იუმორი, ირიბი ნათქვამი, შედარებები). აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებზე შეიძლება ქონდეს ურთიერთობის დამყარების სურვილი, მაგრამ არ იცოდეს როგორ მოახერხოს ეს. აუტისტური სპექტრის აშლილობის დროს ბავშვებს სოციალურ სიტუაციაში მოქცევის წესების სწავლა შეუძლიათ, თუმცა ნასწავლი უნარ-ჩვევები სუსტია. ხშირად ასეთი ბავშვები სკოლაში თანატოლებისგან იზოლაციას განიცდიან.

7. როგორ უნდა ჩავართოთ აუტიზმის მქონე ბავშვი სასკოლო ცხოვრებაში

ინკლუზიური განათლების უმთავრესი მიზანია ხელი შეუწყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების განათლებასა და სოციალურ ინტეგრაციას. სკოლა უნდა ცდილობდეს, რომ ნებისმიერი მოსწავლე ჩართული იყოს სასწავლო პროცესში. აუტიზმის მქონე მოსწავლე კონკრეტულად მისთვის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა სწავლობდეს. აუცილებელია სკოლამ წინასწარ შეაფასოს აუტიზმის მქონე მოსწავლისთვის შესაძლებლობები, სათანადო სასწავლო მეთოდების ეფექტურობა, ინდივიდუალური მეთოდები და

შესაბამისი სტრატეგიები გამოიყენოს. მიუხედავად იმისა, რომ აუტიზმის მქონე ბავშვების განათლება საკმაოდ რთულია და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, მაინც არსებობს რამდენიმე სწავლების ეფექტური სტრატეგია, რომელთა ცოდნაც დაგეხმარებათ აუტიზმის მქონე ბავშვის სწავლებაში:

ვიზუალური დაგეგმვის სტრატეგია

როგორც წესი, აუტიზმის მქონე ბავშვები ძლიერი ვიზუალიზაციის (მხედველობითი წარმოსახვის) უნარით ხასიათდებიან. შესაბამისად, ასეთი ბავშვებისთვის ინფორმაციის ვიზუალური სახით მიწოდება ეხმარება მათ კომუნიკაციის დამყარებაში და ასევე ხელს უწყობს კომუნიკაციის ენის განვითარებას. შესაძლებელია ბავშვისთვის სურათების მეშვეობით ურთიერთობის სწავლება. სურათებით ურთიერთობის დაუფლება კი, ეხმარება მათ თვითშეფასების ამაღლებაში, გარკვეული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და საკუთარი თავის რწმენაში. აუტიზმის მქონე ნებისმიერ ადამიანს ყველა ასაკში შეუძლია ვიზუალური მასალის (სურათების), როგორც კომუნიკაციის საშუალების, გამოყენება. ეს ძალიან ამარტივებს მათ ურთიერთობას გარე სამყაროსთან.

ვიზუალური მასალა

აუცილებელია, რომ ბავშვს მისი ასაკის, საჭიროებების და განვითარების შესაბამისი ვიზუალური მასალა მივაწოდოთ. სურათებით შესაძლებელია სხვადასხვა სიუჟეტებისა და ცხოვრებისეული სიტუაციების გადმოცემა, სხვადასხვა საგნებისა და მოვლენების აღწერა. ეცადეთ, რომ სხვადასხვა სიტუაციაში სკოლაში, სახლში, სტუმრად, ყოველთვის ერთიდაიგივე, თქვენს მიერ შერჩეული სურათი თუ ფოტო გამოიყენოთ. ეს დაეხმარება ბავშვს არ დაიბნეს და განუმტკიცებს უკვე ათვისებულ ინფორმაციას. გახსოვდეთ, რომ ყველა ბავშვს სურათების შერჩევა ინდივიდუალურად ჭირდება. ვიზუალური მასალის ბავშვისთვის წარდგენა ეტაპობრივად უნდა მოხდეს: ჯერ ვაცნობთ კონკრეტული საგნის სურათს და შემდეგ სურათებით ვაწყობთ გარკვეული მოქმედების გეგმას.

სოციალური უნარების განვითარება და ურთიერთობის სწავლება

აუტიზმის მქონე ბავშვებს ყველაზე მეტად სოციალური ურთიერთობა უჭირთ, შესაბამისად, ყველა შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული რათა ბავშვს ურთიერთობა ვასწავლოთ. რადგან აუტიზმის მქონე ბავშვებს ხშირად მეტყველების მკვეთრად გამოხატული პრობლემა აქვთ, უმჯობესია მათ სურათებით ურთიერთობა ვასწავლოთ. სურათები ეხმარებათ ბავშვებს გაგვაგებინონ, მიგვითითონ, თუ რა ან ვისთან სურთ, რისი გეგება უნდათ და ა.შ. აუტიზმის მქონე ბავშვებთან მუშაობისას ასევე ეფექტური სტრატეგიაა იმიტაცია. სხვათა იმიტაციის პროცესში აუტიზმის მქონე ბავშვები სწავლობენ. საქართველოს საჯარო სკოლებში, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბოლო მონაცემების მიხედვით, სწავლობს 3453 მოსწავლე, რომლებიც იდენტიფიცირებულები არიან, როგორც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდთა ნაწილი არ არის აღრიხცვავი სკოლებში და გარიყულია, როგორც სასწავლო ასევე სოციალური პროცესებისაგან. შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მათ

შორის აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე მოზარდების ზუსტი რაოდენობის დადგენა ჯერ კიდევ პრობლემად რჩება. ამ საკითხის გადაჭრისათვის საჭიროა საზოგადოების, მშობლების ინფორმირებულობის გაზრდა და ინკლუზიური განათლებისადმი პოზიტიური განწყობის ჩამოყალიბება.

აუტიზმთან დაკავშირებული ვებ-გვერდების მოკლე ჩამონათვალი:

საქართველოს აუტიზმის საზოგადოება

www.autism.ge

წმ. გიორგის სახ. აუტიზმის ცენტრი

<http://centerautism.blogspot.com/>

www.kidspage.ge

საპარტიზო 1: „პირამიდა“**რეჟისორი:****ასაკი:** 13+**შესაბამისი თემები:** ტოლერანტული დამოკიდებულება შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ, ემპათია.**სასწავლო მიზნები:**

- ჩამოვყალიბოთ ფილმის მთავარი პრობლემა
- განვსაზღვროთ როგორ არის გადაწყვეტილი მოცემული პრობლემა ფილმში
- შევქმნათ ფილმის სქემატური მონახაზი
- ვისწავლოთ აუტიზმით დაავადებულ ადამიანებთან ურთიერთობა

დრო: 20 წთ**რესურსები:** სქემა, ფლიფჩარტი, მარკერი ან დაფა.**აქტივობის აღწერა:** მასწავლებელი წინასწარ ამზადებს სქემას:

- 1 _____
- 2 _____
- 3 _____
- 4 _____
- 5 _____
6. _____
7. _____

პირამიდის შევსების ინსტრუქცია:

1. ერთი სიტყვით დაწერეთ ვინ არის ფილმის მთავარი გმირი;
 2. ორი სიტყვით აღწერეთ (დაახასიათეთ) ფილმის მთავარი გმირი;
 3. სამი სიტყვით აღწერეთ მოქმედების დრო და ადგილი;
 4. ოთხი სიტყვით დაწერეთ ფილმში მოცემული პრობლემის შესახებ;
 5. ხუთი სიტყვით აღწერეთ ერთი ამბავი/ეპიზოდი ფილმიდან;
 6. ექვსი სიტყვით აღწერეთ მეორე ამბავი/ეპიზოდი ფილმიდან;
 7. შვიდი სიტყვით აღწერეთ, როგორ გადაწყდა/ან თქვენ როგორ გადაწყვეტდით ფილმში მოცემულ პრობლემას.
- მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს ინდივიდუალურად შეავსონ სქემა;
 - შემდეგ მოსწავლეები 4–5 კაციან ჯგუფებში ერთიანდებიან, მსჯელობენ და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ მოსაზრებებს.
 - აქტივობის ბოლოს ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს. ჯგუფური პრეზენტაციების შემდეგ იმართება დისკუსია “პირამიდის“ მე-7 პუნქტთან დაკავშირებით.

ასახვა /მსჯელობა:

ჯგუფური ნამუშევრების წარდგენის შემდეგ იმართება საკლასო დისკუსია.

საპარტიზო 2: რა არის აუტიზმი

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ტოლერანტობა

სასწავლო მიზნები:

- გავიგოთ მეტი შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებზე
- გავცნოთ რა სახის დაავადებაა აუტიზმი

დრო: 15-20 წუთი

რესურსები:

სამუშაო ფურცელი N1 (რაოდენობა ჯგუფების შესაბამისად), კალმები. სამუშაო ფურცელი N2 თითოეული მოსწავლისთვის.

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი იწყებს ფილმის ჩვენებას და ფილმს წყვეტს მანამდე ვიდრე ნათქვამი იქნება რომ დრონა არის აუტისტი. ის ეკითხება მოსწავლეებს: თქვენი აზრით, რა პრობლემა შეიძლება ქონდეს დრონას? სავარაუდო პასუხების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი განაგრძობს ფილმის ჩვენებას.

ფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს ყოფს 4-5 კაციან ჯგუფებად; ურიგებს მათ სამუშაო ფურცელს N1 და თხოვს წარმოადგინონ მახასიათებლებისგან მონიშნონ რომელი გააჩნია ფილმის გმირს.

ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს.

ასახვა/მსჯელობა:

აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი შეაჯამებს მოსწავლეების პასუხებს და უსვამს შემდეგი სახის შეკითხვებს: რა იყო მათთვის ახალი? რა ისწავლეს? თვითონ რა შეუძლიათ გააკეთონ შშმ ადამიანებისთვის? და ა.შ. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს ურიგებს სამუშაო ფურცელს N2 და საშინაო დავალებად აძლევს დაწერონ მცირე თხზულება თემაზე “დრონას მომავალი ჩემს გვერდით“. მომავალ გაკვეთილზე მოსწავლეები წარმოადგენენ საკუთარ თხზულებებს.

სავარჯიშო 2: რა არის აუტიზმი

სამუშაო ფურცელი N1

<p>აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევაა, რაც გავლენას ახდენს ბავშვის სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და გონებრივ განვითარებაზე.</p> <p>აუტიზმისათვის დამახასიათებელი ნიშნები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სოციალური ურთიერთობების დამყარების უუნარობა • მეტყველების განვითარების შეფერხება • გონებრივი უნარების არათანაბარი განვითარება • ემოციების/გრძნობების არაადექვატური გამოხატვა • სოციალური პრობლემების გადაწყვეტის უუნარობა • ცვლილებებისადმი შიში • საგნებით გატაცება • ინტერესების შეზღუდულობა 	<p>დრონა</p>	<p>არის შემთხვევები, როდესაც აუტიზმის მქონე ადამიანებს კარგად განვითარებული უნარები აქვთ.</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ძლიერი მხედველობითი მეხსიერება • კონკრეტული წესების, მაგალითების, პრინციპების, მოვლენათა თანამიმდევრობისა და დეტალების დამახსოვრების უნარი • მათემატიკური ფაქტების, სტატისტიკური მონაცემების დამახსოვრების უნარი • გაშიფვრისა და კოდირების უნარი • სამსახიობო ნიჭი • ხატვის ნიჭი • მუსიკალური ნიჭი • კომპიუტერთან მუშაობის უნარი
--	---------------------	--

სავარჯიშო 2: რა არის აუტიზმი

სამუშაო ფურცელი N2

დაწერეთ მცირე თხზულება: „**დრონას მონავალი ჩემს გვერდით**“

(გაითვალისწინეთ შემდეგი საკითხები: როგორ შეიძლება განვითარდეს დრონას ისტორია? რა პრობლემები შეიძლება შეხვდეს მას მონავალში და რას გააკეთებდით თქვენ დრონას ბედნიერებისთვის?).

საპარტიზო 3: თოკი

ასაკი: 13+

შესაბამისი თემები: შებენიანი შესაძლებლობების მქონე ადამიანები, სტერეოტიპები

სასწავლო მიზნები:

- გავცნოთ შებენიანი შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებს
- გავიგოთ რა სახის დაავადებაა აუტიზმი
- გავიაზროთ რა პრობლემების წინაშე დგას შებენიანი შესაძლებლობების მქონე ადამიანი და მისი გარშემომყოფები

დრო: 15-20 წუთი

რესურსები: საქსოვი ძაფი ან თოკი

აქტივობის აღწერა:

- ფილმის ჩვენებამდე მასწავლებელი ერთ მოხალისე მოსწავლეს ცალკე სვამს სკამზე, სხვებს კი თხოვს წარმოიდგინონ, რომ ეს მოსწავლე არის შშმ ადამიანი.
- და დაასახელონ/ჩამოთვალონ ასეთ ადამიანებზე საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულებები/აზრები.
- მოსწავლეების მხრიდან თითოეული უარყოფითი მნიშვნელობის აზრის დასახელებისას, მასწავლებელი სკამზე მჯდომ მოსწავლეს ახვევს თოკს.
- ამდენად, მასწავლებელი იმდენჯერ შემოახვევს თოკს მოსწავლეს, რამდენჯერაც მოსწავლეები საზოგადოებაში შშმ ადამიანების მიმართ დამკვიდრებულ უარყოფით სტერეოტიპებს დაასახელებენ.
- შემდეგ მასწავლებელი კლასს აჩვენებს ფილმს.
- ფილმის დასრულების შემდეგ მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს, ფილმის გმირის მაგალითზე იმსჯელონ რამდენად შეიცვალა ან გაბათილდა მათ მიერ ფილმის ნახვამდე დასახელებული აზრები/შეხედულებები შშმ ადამიანების მიმართ, რამე თუ იყო ფილმში ისეთი რამაც მათ შეხედულებებზე გავლენა მოახდინა, ან სხვა კუთხით დაანახა შშმ ადამიანები და გავრცელებული სტერეოტიპები. დისკუსიის დროს მასწავლებელი იმდენჯერ შემოახვევს თოკს „შებოჭილ“ მოსწავლეს, რამდენჯერაც დადებითი მნიშვნელობის მოსაზრება დასახელებდა კლასში. შესაბამისად, „შებოჭილი“ მოსწავლე ნელ-ნელა განთავისუფლდება თოკისგან. მასწავლებელმა სასურველია წაახალისოს რაც შეიძლება მეტი დადებითი მნიშვნელობის მქონე შეხედულებები დაასახელონ მოსწავლეებმა, მინიშნება მიცეს და საჭიროების შემთხვევაში თავად მოიყვანოს მსგავსი მაგალითები.

ასახვა/მსჯელობა:

სავარჯიშო დასრულების შემდეგ მასწავლებელი „შებოჭილ მოსწავლეს“ უსვამს შემდეგი სახის შეკითხვებს: რას გრძნობდა როდესაც თოვით იყო „შებოჭილი“? რას გრძნობდა გათავსუფლების შემდეგ? და ა.შ.

სავარჯიშო 4: ჩემი მეგობარი დრონა

ასაკი: 12+

შესაბამისი თემები: შებლუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, ტოლრანტობა, ემპათია

სასწავლო მიზნები:

- შშმ ადამიანების პოზიტიურ თვისებებზე/მხარეებზე კონცენტრირება
- ტოლერანტობის და ემპათიის უნარის განვითარება

დრო: 45 წთ

რესურსები: ფლიპჩარტი, ფლომასტერები, მარკერები, სკოჩი

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფილმს
- ფილმის დასრულების შემდეგ კლასს 3 ჯგუფად ყოფს და უხსნის რა არის რეკლამა, რეკლამის მიზანი, რა სახის რეკლამა არსებობს, რომ რეკლამირების დროს წარმოჩენილია საგნის მხოლოდ დადებითი მხარეები და მახასიათებლები. შემდეგ მოსწავლეებს თხოვს წარმოიდგინონ, რომ მათი რეკლამის ობიექტი არის ფილმის გმირი და შეეცადონ ჯგუფებში მოიფიქრონ, იმსჯელონ და ჩამოაყალიბონ დრონას დადებითი თვისებები, ჩვევები, უნარები...
- მასწავლებელი თხოვს მოსწავლეებს წარმოიდგინონ რომ ჯგუფური ნამუშევრები უნდა აჩვენონ თავის თანატოლებს, რომლებსაც ფილმი არ უნახავთ. რა არის ის მთავარი და მნიშვნელოვანი, რასაც ისინი თავის თანატოლებს ეტყობდნენ საკუთარი ნამუშევრების მეშვეობით. ჯგუფური სამუშაოს შესასრულებლად მოსწავლეებს ეძლევათ 20 წუთი.
- შემდეგ მოხდება ჯგუფური ნამუშევრების პრეზენტაცია.

ასახვა/მსჯელობა:

აქტივობის შეჯამებისას ადგილი აქვს ჯგუფურ დისკუსიას, სადაც თითოეულ მოსწავლეს შესაძლებლობა ეძლევა გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. მასწავლებელი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თითოეულ ადამიანს გააჩნია დადებითი თვისებები, უნარები და გარკვეული ტიპის შებლუდული შესაძლებლობების მიუხედავად, ეს ადამიანები ჩვენი საზოგადოების სრულფასოვანი წევრები არიან და შეუძლიათ სასარგებლო საქმე აკეთონ. ჯგუფური ნამუშევრები შეიძლება გამოიფინოს საკლასო ოთახში.



მეზობლები

ნორმან მაკლარენი / კანადა / 1952 წელი / 10 წთ.

შოტლანდიური წარმოშობის კანადელი რეჟისორისა და კინოს ნოვატორის ნორმან მაკლარენის ფილმი „მეზობლები“ 1952 წელს ოსკარით დაჯილდოვდა, როგორც საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური სურათი. ფილმში წარმოდგენილი თემატიკა და გამომსახველებითი ინსტრუმენტები (სინთეზური მუსიკა და ანიმაცია) საოცარ ზემოქმედებას ახდენს; მუსიკა, ვიზუალი და შინაარსი შერწყმულია. მაცურებლის თვალწინ დრამა თამაშდება. ორი თითქოს უწყინარი მეზობელი, რომლებიც მშვენიერ მწვანე მოღბე სავარძლებში გაზეთით ხელში ნაზად უღიმიან ერთმანეთის უდიდეს მტრებად გადაიქცევიან. ეს მტრობა ერთი პატარა ყვავილის გამო იწყება, მათ ვერ გაარკვიეს და ვერ გადაწვიტეს ყვავილი რომლის მხარეს ამოვიდა და ვის ეკუთვნოდა. მეზობლების ისტორია სისხლიან ტრაგედიად გადაიქცა, რომელმაც შეიწირა არა მხოლოდ მთავარი პერსონაჟების სიცოცხლე, არამედ მათი ოჯახის წევრები, რომლებსაც გმირები სასტიკად უსწორდებიან, არ ინდობენ ერთმანეთის შვილებს, ცოლებს და სახლ-კარს. ფილმი საოცარი ირონიით სრულდება; ფილმის ფინალურ სცენაში „განხეთქილების ყვავილი“ ჯვრებთან ერთად მოსისხლე მტრების საფლავებს ამშვენებს.

ფილმის ავტორის მიერ ომისა და მშვიდობის აქტუალიზაცია კარგად ჩანს ერთწამიან კადრში, როდესაც მეზობლები გაზეთებს გაშლიან, იქ ვკითხულობთ: მშვიდობა არის, თუ არ არის ომი და ომი არის, თუ არ არის მშვიდობა.

საბაზისო ინფორმაცია

ძირითადი თემები: კონფლიქტი, ძალადობა, ომი

დამატებითი თემები: კონფლიქტის გადაწყვეტა: მოგვარება, ტრანსფორმაცია, მართვა; ქცევის სტრატეგიები კონფლიქტის დროს; პოზიტიური მშვიდობა; მშვიდობის კულტურა

ორი მსოფლიო ომის საუკუნე

მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი განსაკუთრებით სისხლიანი იყო მთელი კაცობრიობის ისტორიის მანძილზე. ნგრევა, განადგურება, სიძულვილი, ძალადობა, სიკვდილი ყოველგვარ საზღვრებს გაცდა. ომებმა შეცვალეს სახელმწიფოებისა და იმპერიების საზღვრები, დააჩქარეს მასობრივი განადგურების იარაღის შექმნა და გამოყენება (პირველ მსოფლიო ომში გერმანიამ პირველად გამოიყენა ქიმიური იარაღი, მეორე მსოფლიო ომში ამერიკამ ატომური ბომბი გამოცადა იაპონიაში); მეოცე საუკუნის მოვლენაა ჰოლოკოსტი, რომელმაც დაავიწყებინა ებრაელების საუკუნოვანი დევნის ისტორია. ბუნებრივია, ამ მოვლენებმა თავისი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში და დააფიქრა საერთაშორისო საზოგადოება იმაზე, თუ რა უნდა გაკეთებულიყო ძალადობისა და ომის თავიდან ასარიდებლად. მშვიდობის საჭიროებამ განაპირობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა 1945 წელს და ამ პროცესში მონაწილეობდნენ, როგორც ვეროატლანტიკური სივრცის ქვეყნები, ასევე საბჭოთა კავშირი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნები ასე განისაზღვრა: საერთაშორისო მშვიდობის დაცვა, სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარება, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ხალხთა თანასწორობაზე და თვითგამოხატვის პრინციპებზე, საერთაშორისო ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის უზრუნველყოფა; ადამიანთა ძირითადი უფლებების პატივისცემა რასის, სქესის, ენისა და რელიგიის განურჩევლად. გაერომ 1948 წელს მიიღო ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, რაც საერთაშორისო მშვიდობის გარანტირების მცდელობა იყო ადამიანის სიცოცხლისა და თავისუფლების მთავარ პოსტულატად გამოცხადებით. თუმცა, ეს ყველაფერი არ აღმოჩნდა საკმარისი მშვიდობის უზრუნველსაყოფად მსოფლიოში. ესპანეთის სამოქალაქო ომის გაგრძელება სისხლიანი რეჟიმით, მეორე მსოფლიო ომი, ჩინეთის რევოლუცია და კორეის ომი, ცივი ომი. ეს ყველაფერი ერთგვარ შემოქმედებით შთაგონებად იქცა ნორმან მაკლარენისათვის. რომელიც მარტივი ბანალური ისტორიით შეეცადა იმდროინდელი დასავლეთი დაეფიქრებინა.

რა არის კონფლიქტი?

კონფლიქტი დაპირისპირებას ნიშნავს; თუ დაპირისპირება უმართავია ის შესაძლოა ძალადობაში გადაიზარდოს. კონფლიქტის ანალიზისას რამდენიმე მნიშვნელოვანი კითხვა უნდა დაისვას: რა არის კონფლიქტის წყარო? რა იწვევს კონფლიქტს? რა ტიპის კონფლიქტები არსებობს? როგორ ვმართოთ კონფლიქტი?

თუ ფილმს მივუბრუნდებით დაპირისპირების მიზეზი გახდა პატარა ყვავილი, რომელიც მებობელების ებობების გამყოფ ბოლზე ამოვიდა; ფილმის ავტორი ყვავილის შემოტანით, როგორც განხეთქილების ვაშლის, აქცენტს აკეთებს, დაპირისპირების აბსურდულობაზე, ის განაზოგადებს და გვეუბნება, რომ ასეთი უმნიშვნელო რამ შესაძლოა იქცეს ნგრევისა და ძალადობის წყაროდ. მებობელებმა არც კი დაუშვეს კონფლიქტის ალტერნატიული გადაწყვეტა; მათ ლობების შენება, გაყოფა, განცალკავება აირჩიეს კონფლიქტის გადაწყვეტის გზად, რამაც ძალადობა და ორივე მხარის განადგურება გამოიწვია. კონფლიქტის მიზეზად შესაძლოა იქცეს დამახინჯებული ინფორმაცია, ან ინფორმაციის სუბიექტური გადაუმოწმებელი ინტერპრეტირება, რესურსების გადანაწილების და ფლობის სურვილი, საპირისპირო ინტერესები, განსხვავებული ღირებულებები, არსებული სტრუქტურა (მაგალითად,

კლასებს შორის კონფლიქტი, გამომდინარეობდა იქედან, რომ სოციალური კლასები თავისთავად დაპირისპირებულები იყვნენ, ერთი უფრო პრივილეგირებული, მეორე მასზე დამოკიდებული და დამორჩილებული).

კონფლიქტის მიზეზად ასევე შეიძლება იქცეს სუბიექტური რეალობა, ანუ ის მრავალი და მრავალმხრივი რეალობა, რაც გამომდინარეობს ერთი და იგივე მოვლენის განსხვავებული აღქმიდან. ყველა ადამიანი, კულტურა თავისი თვალთ უყურებს მოვლენას, პროცესს, ამიტომ სუბიექტური აღქმის არსებობა იწვევს ხედვისა და აზროვნების ჩარჩოების შეზღუდულობას, ჩაკეტვას. დავიწროვებული ხედვა კონფლიქტისა და დაპირისპირების შემდგომ ესკალაციას უყრის საფუძველს.

სუბიექტური რეალობის გარდა კონფლიქტის საფუძველი ხშირად სტერეოტიპებია. სტერეოტიპები ეს არის ფართოდ გავრცელებული და ღრმად ფესვგადგმული უარყოფითი წარმოდგენები ადამიანების, ან მოვლენების შესახებ. სტერეოტიპები დისკრიმინაციის საფუძველი ხდება, დისკრიმინაცია კი, იწვევს ძალადობას.

კონფლიქტის ესკალაცია

კონფლიქტი საწყისი წერტილიდან იწყება და ვითარდება, თუ შესაბამისი ზომები არ იქნა მიღებული მის გასაჩერებლად და დეესკალაციისათვის. კონფლიქტის ესკალაციის მოდელი „ქარბორბალა“ კარგად აჩვენებს, როგორ ვითარდება დაპირისპირება ღია ძალადობამდე და ომამდე. კონფლიქტური ვითარებები გარკვეულ სოციალურ კონტექსტში წარმოიშვება. ცალკეული ფაქტი, ან მოვლენა ბიძგს აძლევს კონფლიქტის აქტიურ ფაზაში გადასვლას. მხარეები ცდილობენ ალიანსები შეკრან, თავიანთი ნაბიჯები გაამართლონ და მხარდამჭერები მოიძიონ, შემდეგ ხდება პოზიციებზე მიჯაჭვა, საბოლოოდ კი საქმე ძალადობამდე მიდის. კონფლიქტის ესკალაციის თითოეული ეტაპი ცალკეულ გრძნობებთან და ემოციებთან არის დაკავშირებული: დამცირება, უპატივცემულობის განცდა, შიში, აგრესია, ზიზღი, გაუცხოება, ბრაზი, ჩაგვრის განცდა და ა.შ. ეს ის გრძნობები და ემოციებია, რომლებიც კონფლიქტის დროს არსებობს. კონფლიქტის მართვის სტრატეგიის შემუშავების დროს მნიშვნელოვანია გრძნობებზე და ემოციებზე დაფიქრება, მათ გასანეიტრალებლად და დადებით ემოციად გარდაქმნის შესაძლებლობებზე ფიქრი.

იმისათვის, რომ მოხდეს კონფლიქტის დეესკალაცია, არსებობს გარკვეული რჩევები: უნდა გაიმიჯნოს პრობლემა და ადამიანები, არ მოხდეს განზოგადება, გაანალიზდეს არსებული ვითარება, გამოვიყენოთ კრეატიული მიდგომები, გავაფართოვოთ თვალსაწიერი, კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა.

პოზიტიური და ნეგატიური მშვიდობა

განასხვავებენ პოზიტიურ და ნეგატიურ მშვიდობას. ნეგატიური მშვიდობის დროს ზემოთ მოყვანილი ემოციები და განცდები არსებობს, თუმცა ღია ძალადობრივ დაპირისპირებას ადგილი არ აქვს. პოზიტიური მშვიდობა მშვიდობის კონცეფციაა, რომლის ამოსავალიც არის მშვიდობის კულტურა - ურთიერთპატივისცემა, სხვისი თვალთ სამყაროს დანახვის მცდელობა და თანამშრომლობა განსხვავებულებს შორის.

კონფლიქტის გადაწყვეტის რამდენიმე სხვადასხვა კონცეფცია არსებობს: კონფლიქტის მოგვარება, კონფლიქტის მართვა, კონფლიქტის ტრანსფორმაცია. კონფლიქტის მოგვარება გულისხმობს მხარეების შეთანხმებას გარკვეულ გადაწყვეტილებებზე. კონფლიქტის მართვა გულისხმობს მდგომარეობას, როდესაც შესაძლებელია ვითარების იმგვარი გაძლოა, რომ შეიარაღებული დაპირისპირება არ ხდება, არსებობს კრიზისული ვითარებების განმუხტვის მექანიზმები; კონფლიქტის ტრანსფორმაცია შედარებით ახალი კონცეფციაა, რომელიც გულისხმობს კონფლიქტური ვითარების იმგვარ გარდაქმნას, შეცვლას, როდესაც იცვლება მხარეთა დამოკიდებულებები, აღქმება, კონფლიქტის მიზეზებისა და წყაროების მიმართ დამოკიდებულება, ხდება პროცესის გააზრება. კონფლიქტის გადაწყვეტის ტრანსფორმაციული მეთოდები დღეს აქტიურად გამოიყენება სახალხო დიპლომატიაში. ამ მიდგომის ავტორია ნორვეგიელი მეცნიერი და მშვიდობის აქტივისტი იოჰან გალტუნგი.

კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიები

კონფლიქტური ვითარების დროს ამა თუ იმ სტრატეგიას ჩვენი ინტერესი და დაპირისპირებულ მხარესთან ურთიერთობების მნიშვნელოვნება განსაზღვრავს. კონფლიქტურ ვითარებაში ქცევის 5 სტრატეგიას განიხილავენ: თავის არიდება, განრიდება, კომპრომისი, კონკურენცია და თანამშრომლობა.

როდესაც ადამიანი ნაკლებად ზრუნავს ურთიერთობებზე და ასევე, ნაკლებად აინტერესებს საქმე, უმჯობესია, რომ მან სტრატეგია “განრიდებას” მიმართოს. მაგალითად, არ ღირს ავყვეთ ქუჩაში შემთხვევით ადევნებულ ნასვამ ადამიანს ჩვენი მისამართით არამართებული ქცევის გამო, რადგან მის მიმართ არც ინტერესი და არც მასთან ურთიერთობა არ გვაქვს.

თუ პრობლემურ სიტუაციაში ადამიანისთვის მნიშვნელოვანია ურთიერთობები, ხოლო საქმე მეორეხარისხოვანი, ამართლებს სტრატეგია “შეგუება”. ეს სტრატეგია ცალმხრივ დათმობას გულისხმობს. მაგალითად, ურთიერთობების შენარჩუნება მეგობრების წრეში, ან ოჯახში იმდენად მნიშვნელოვანია, რომ დათმობა სავსებით ბუნებრივად გამოიყურება. თუმცა, მუდმივად დათმობაზე წასვლა ახლობელ ადამიანებთანაც კი სახიფათოა, რადგან ამ შემთხვევაში, ერთი მხარის ინტერესები მუდმივად ზარალდება და უარყოფით ემოციებსაც იწვევს, რაც საბოლოოდ შესაძლოა უარყოფითი შედეგის მომტანი იყოს.

მაშინ, როდესაც შესაძლებელია, ორმხრივ დათმობაზე წასვლა, თანაც, როგორც საქმეში, ასევე ურთიერთობებში, ჯობია მივმართოთ სტრატეგიას “კომპრომისი”.

სიტუაციაში, როდესაც მაქსიმალურად ვართ ორიენტირებული საქმეზე და ნაკლებად ვზრუნავთ ურთიერთობებზე, ყველაზე ეფექტურია “კონკურენცია”.

ეს სტრატეგია სუფთა სახით ნებისმიერი სპორტული შეჯიბრის არსს წარმოადგენს. მას სხვა სფეროებშიც ხშირად მიმართავენ, განსაკუთრებით ბიზნესში. თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ეს ე.წ. წაგება—მოგების სტრატეგიაა, რომელიც გულისხმობს, რომ ამ ვითარებაში ან მოიგებთ და ან წააგებთ, შესაძლებლობების საგრძნობი გადაფასება ხდება და წაგებულ მხარეს რევანშის სურვილი უჩნდება.

არსებობს კიდევ ერთი სტრატეგია, რომლის დროსაც შესაძლებელია, ვიყოთ მაქსიმალურად ეფექტური საქმეშიც და პარტნიორთან ურთიერთობაშიც. ეს სტრატეგიაა — “თანამშრომლობა”. იგი ეფექტურია ყველა იმ სიტუაციაში, სადაც კი მისი გამოყენება შესაძლებელია. თუმცა, არსებობს ისეთი

სიტუაციები, რომლისთვისაც თანამშრომლობა სრულიად შეუფერებელია. მაგალითად, როდესაც საკითხი კომპრომისით მარტივად წყდება. სტრატეგია „თანამშრომლობა“ დიდი გამოცდილების, ფიქრის, ანალიზისა და მუშაობის შედეგად მიიღწევა.

ყველა სტრატეგიას აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. უნივერსალური არც ერთი მათგანი არ არის.

ხელოვნება და ადამიანები მშვიდობისათვის

ომი ყოველთვის იყო ხელოვანთა შთაგონების წყარო. ომის თემატიკაზე უამრავი წიგნი დაწერილა, ტილო შესრულებულა, მუსიკა შექმნილა. პიკასოს „გერნიკა“ და დალის „ესპანეთის სამოქალაქო ომი“ ასახავს ომის საშინელებას. პიკასოს „გერნიკა“-ს ადარებენ ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას და ეს ორივე ნაწარმოები კი, ახსენებს კაცობრიობას, როგორი გამანადგურებელია ომი და რა მნიშვნელოვანია მშვიდობა და იმედი.

მშვიდობის საერთაშორისო დღე გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1981 წელს დაარსდა. „პატივი მივაგოთ და გავაძლიეროთ იდეები მშვიდობის შესახებ მსოფლიოში“, ეს იყო დღესასწაულის დაარსების იდეა და მიზანი. ოცი წლის შემდეგ კი, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო სპეციალური რეზოლუცია და ამით გამოაცხადა 21 სექტემბერი, როგორც ყოველწლიური დღესასწაული „გლობალური ცეცხლის შეწყვეტისა და არაძალადობისათვის“.

მშვიდობის საერთაშორისო დღის საბოლოო აღიარება ბრიტანელი მსახიობისა და რეჟისორის ჯერემი გილეს დამსახურებაა, მისი პროექტი „ერთ დღესაც იქნება მშვიდობა“, წარმოადგენს ფილმს, რომელიც მრავალ ქვეყანაშია გადაღებული და მასში ასახულია რეჟისორის მოგზაურობა და მისი შეხვედრები ადამიანებთან, რომელთაც სურთ მშვიდობა და რომელთაც თავის თავზე გამოცადეს ომის საშინელება. მშვიდობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები 21 სექტემბერს მთელს მსოფლიოში ტარდება. ყველა ქვეყანაში ეწყობა სხვადასხვა აქცია და მსვლელობა, ქვეყნის მთავრობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები და მოქალაქეები ერთად აღნიშნავენ მშვიდობის საერთაშორისო დღეს.

საპარაჯიშო 1: რეფლექსია

რეფლექსია

ასაკი: 14+

შესაბამისი თემები: კონფლიქტები, ტოლერანტობა

სასწავლო მიზნები:

- გავანალიზოთ კონფლიქტების გამომწვევი მიზეზები
- ვისწავლოთ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე ყურადღების გამახვილება
- შემოქმედებითი აზროვნების უნარი განვითარება


დრო: 20 წთ.

რესურსები: სქემა, მარკერი, ფლიპჩარტი, დაფა, ცარცი

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი კლასს აჩვენებს ფილმს
- შემდეგ თხოვს მოსწავლეებს შეთავაზებული ინსტრუქციის მიხედვით შეავსონ სქემა: I სტრიქონი — 1 არსებითი სახელი, II სტრიქონი — 2 ზედსართავი სახელი, III სტრიქონი — 3 ზმნა, IV სტრიქონი — ოთხსიტყვიანი ფრაზა, V სტრიქონი — 3 ზმნა, VI სტრიქონი — 2 ზედსართავი სახელი, VII — 1 არსებითი სახელი.

ინსტრუქცია მასწავლებლისთვის: ვიდრე მოსწავლეებს თხოვთ სქემის დამოუკიდებლად შევსებას, თავად აჩვენეთ ამის მაგალითი და გზადაგზამკაფიოდ განუმარტოთ, სად, რას და რატომწერთ. პირველ ხაზზე დაწერეთ საკვანძო თემის /საკითხის შესაბამისი არსებითი სახელი (საკვანძო სიტყვა), ბოლო ხაზზე კი საკვანძო (პირველ ხაზზე დაწერილი) არსებითი სახელის შემცველი სიტყვა/სინონიმი. მეორე ხაზზე იწერება ორი ზედსართავი სახელი, რომელიც აღწერს საკვანძო სიტყვას. მესამე ხაზზე იწერება სამი ზმნა, რომელიც გამოხატავს საკვანძო ქვემდებარის მოქმედებებს. ანალოგიურად, ბოლოდან მეორე ხაზზე დაწერილი ზედსართავები ახასიათებს საკვანძო სიტყვის შემცველ ქვემდებარეს, ხოლო ბოლოდან მესამე სტრიქონზე დაწერილი სამი ზმნა გამოხატავს საკვანძო სიტყვის შემცველი ქვემდებარის მოქმედებებს. სქემის ცენტრალურ (თავიდან IV) სტრიქონზე დაწერეთ ოთხსიტყვიანი წინადადება, რომლითაც განხილული საკითხის მთავარი სათქმელი/არსი იქნება გადმოცემული. აგრეთვე შეიძლება ამ ფრაზით გადმოცეთ ის ასოციაცია/დამოკიდებულება/შეხედულება, რომელიც გვიჩნდება ამ თემასთან დაკავშირებით. თხოვეთ მოსწავლეებს დამოუკიდებლად შეავსონ სქემა. სასურველია, ყურადღებით დააკვირდეთ მოსწავლეებს რამდენად ართმევენ საპარაჯიშოს თავს და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი რჩევებით ხელი შეუწყობთ მათ შეასრულონ დავალება.



მსჯელობა /ასახვა:

სქემა მოსწავლეებმა შეიძლება შეავსონ ინდივიდუალურად ან ჯგუფებში. პრეზენტაციების შემდეგ იმართება მსჯელობა.

საპარტიზო 2: ექვხე სიტყვა

ასაკი: 13+

შესაბამისი თემა: კონფლიქტი

სასწავლო მიზნები:

- გავანალიზოთ კონფლიქტის არსი
- დავფიქრდეთ უარყოფითი ემოციებისგან განტვირთვის ალტერნატიული გზების შესახებ

დრო: 20 წთ.

რესურსები: მარკერი და ფლიპჩარტი

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი ყოფს კლასს 4-5 კაციან ჯგუფებად და თხოვს მოიფიქრონ ლექსი, რომელიც სიტყვა „კონფლიქტი“-ს მიხედვით აკოსტრიხული ფორმით იქნება შედგენილი. მაგალითად:

კ - კამათი

ო - ომი

ნ - ნერვიულობა

ფ - ფარისევლობა

ლ - ლანძღვა

ი - იგნორირება

ქ - ქაოსი

ტ - ტკივილი

ი - ირონია

- დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი აჯამებს მუშაობის პირველ ეტაპს და ყურადღებას აქცევს იმას, რომ ჩამოთვლილი ყველა სიტყვა იწვევს უარყოფით ემოციას, აღიქმება როგორც ცუდი, გამოუვალ მდგომარეობაში გამოყენებადი. საჭიროა გამოსავლის პოვნა და სიტუაციის ახლებური დანახვა, კონფლიქტის მიზეზებზე დაფიქრება, მოლაპარაკების გზების ძიება.
- ამ მიზნით მასწავლებელი მოსწავლეებს თავაზობს მუშაობის მეორე ეტაპს, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ შემდეგი დავალება: იგივე პრინციპით, მოიფიქრონ და დაასახელონ

სიტყვა „კონფლიქტი“-ს შემადგენელ ასოებთან დაკავშირებული დადებითი მნიშვნელობის აღმნიშვნელ სიტყვები:

კ – კომპრომისი

ო – ოცნება

ნ – ნებისყოფა

ფ – ფიქრი

ლ – ლავირება

ი – იმედი

ქ – ქმედება

ტ – ტოლერანტობა

ი – იდეა

ასახვა/მსჯელობა

სავარჯიშოს დასრულების შემდეგ, მოსწავლეები უზიარებენ ერთმანეთს შთაბეჭდილებებს, მოსაზრებებს, ემოციებს. მსჯელობენ კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიულ გზებზე.

სავარჯიშო 3: მოაზროვნის სამი სკამი

ასაკი: 12+

შესაბამისი თემა: კონფლიქტები

სასწავლო მიზნები:

- განვასხვავოთ კონფლიქტის დადებითი და უარყოფითი მხარეები/შედეგები
- გავიაზროთ სწორი კომუნიკაციის, კონფლიქტის მართვის და მოგვარების სტრატეგიები

დრო: 25 წთ.

რესურსები: ფურცლები, საწერი კალმები

აქტივობის აღწერა:

- მასწავლებელი კლასს 3 ჯგუფად ყოფს („მეოცნებეები“, „რეალისტები“, „კრიტიკოსები“) და თითოეულ მათგანს აძლევს გარკვეულ ინსტრუქციას:
 - I - „მეოცნებეები“-ს ჯგუფმა უნდა მოიფიქროს და ისაუბროს კონფლიქტით გამოწვეულ მხოლოდ დადებით მხარეებზე/შედეგებზე;
 - II - „რეალისტები“-ს ჯგუფმა უნდა წარმოადგინოს კონფლიქტით გამოწვეული მხოლოდ რეალური შედეგები;
 - III - „კრიტიკოსები“-ს ჯგუფმა უნდა განიხილოს კონფლიქტით გამოწვეული მხოლოდ უარყოფითი მხარეები/შედეგები;
- ჯგუფები საკითხს განიხილავენ დამოუკიდებლად და შემდეგ წარუდგენენ კლასს. იმართება „ბანელური დისკუსია“.

ასახვა/მსჯელობა

დისკუსიის დროს მასწავლებელი შეაჯამებს კონფლიქტის დადებით და უარყოფით შედეგებს, ხაზს უსვამს კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარების მნიშვნელობაზე და განიხილავს ეფექტურ სტრატეგიებს.

სავარჯიშო 4: კონფლიქტის მოგვარების ეტაპები

ასაკი: 14 +

შესაბამისი თემები: კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები

სასწავლო მიზნები:

- გავეცნოთ კონფლიქტის მოგვარების სტრატეგიებს
- გავაცნობიეროთ რომ კონფლიქტის მოგვარება დამოკიდებულია უნარებზე, რომელიც შესაძლებელია გამოვიმუშაოთ

დრო: 25- 30 წუთი

რესურსები: სამუშაო ფურცელი N3 თითოეული მოსწავლისთვის, ფლიპჩარტი, მარკერები

აქტივობის აღწერა:

მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს ჯგუფებად; თითოეულ მოსწავლეს ურიგებს სამუშაო ფურცელს N3 და თხოვს ფილმიდან გამომდინარე წარმოადგინონ სქემის შესაბამისი ეტაპის მიხედვით კონფლიქტის მოგვარების შესაძლო გზები.

ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, უსვამენ ერთმანეთს კითხვებს, განიხილავენ ფილმში ასახულ სიტუაციას და კონფლიქტის მოგვარების შესაძლებლობებს.

ასახვა/მსჯელობა:

აქტივობის დასრულების შემდეგ გაიმართება მსჯელობა მოსწავლეების პასუხებთან დაკავშირებით.

სავარჯიშო 4: კონფლიქტის მოგვარების ეტაპები

სამუშაო ფურცელი N3

1 ეტაპი:	საჭიროებების იდენტიფიცირება	რა სჭირდებოდა კონფლიქტში ჩართულ თითოეულ მხარეს - მეზობლების მოთხოვნა
2 ეტაპი:	ფილმში არსებული პრობლემის განსაზღვრა	პრობლემის განისაზღვრა/ჩამოყალიბება ორივე დაპირისპირებული მხარისთვის მისაღები სახით უნდა მოხდეს
3 ეტაპი:	გამოსავლის ძიება	მიუთითეთ პრობლემის მოგვარების ყველა შესაძლო გზა/სტრატეგია
4 ეტაპი:	შესაძლო გადაწყვეტილებების შეფასება	დაასაბუთეთ კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარისთვის შეთავაზებული გადაჭრის გზებიდან მათთვის რომელი მათგანი არის მისაღები და რომელი არა
5 ეტაპი:	საუკეთესო გადაწყვეტილების შერჩევა	მიიღეთ და წარმოადგინეთ კონფლიქტში ჩართული ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილება
6 ეტაპი:	შერჩეული გადაწყვეტილების მართებულობის შემოწმება	მსჯელობა ჯგუფებში

შენიშვნები



CAUCADOC



ეს პუბლიკაცია დაიბეჭდა ევროკავშირის და ჩეხეთის განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ არაკომერციული ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ და იგი არ შეიძლება განხილული იყოს როგორც ევროკავშირის ან ჩეხეთის განვითარების სააგენტოს პოზიციის გამომხატველი.



EUROEAST
CULTURE



CZECH REPUBLIC
DEVELOPMENT COOPERATION